



**შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი**

მარნეული
2022

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში -წესი) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება N42/ნ-ის, მომქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე.

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

2.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობაა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით, დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემით.

2.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახეებია:

2.2.1. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;

2.2.2. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;

2.2.3. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით.

2.5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს და ამტკიცებს კოლეჯი.

2.6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კრედიტებით უნდა იყოს გაანგარიშებული.

2.7. კოლეჯი უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ საავტორიზაციო განაცხადში მითითებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებიც მან ავტორიზაციის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე განაცხადით დაიმატა.

მუხლი 3. პროფესიული მომზადების პროგრამა/პროფესიული გადამზადების პროგრამა

3.1. პროფესიული მომზადების პროგრამა არის პროგრამა, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

3.2. პროფესიული გადამზადების პროგრამა არის პროგრამა, რომლის მიზანია კომპეტენციების შექმნა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

3.3. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მიზანს წარმოადგენს ფორმალური განათლების ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის განხორციელება და სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატისა და სერტიფიკატის დანართის გაცემა.

მუხლი 4. სასწავლო პროცესი

4.1. კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება მიმდინარეობს კოლეჯის მისამართზე: ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80, ხოლო საწარმოო პრაქტიკა მიმდინარეობს კოლეჯის პარტნიორი საწარმოების/ორგანიზაციების ტერიტორიაზე.

4.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4.3. კოლეჯში საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსით,“ განსაზღვრულ უქმე დღეებში არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

4.4. დამატებითი დასვენების პერიოდი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

4.5. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სასწავლო პროცესის დაწყებამდე ადგენს სასწავლო განრიგს (ცხრილს), ხოლო მოდულის განხორციელების კალენდარულ გეგმას მოდულის დაწყებამდე 15 დღით ადრე შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, რომელიც განიხილავს და ადასტურებს მას.

4.6. სასწავლო განრიგი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გადაეგზავნება მოდულის განმახორციელებელს და პროფესიულ სტუდენტებს.

4.7. სასწავლო განრიგში შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილება, რასაც ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და ყველანაირი ცვლილება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეცნობებათ მოდულის განმახორციელებელსა და პროფესიულ სტუდენტებს.

4.8. საკონტაქტო საათი განისაზღვრება 1 ასტრონომიული საათით (60 წუთი), საიდანაც უშუალოდ სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 50 წუთს, დასვენების ხანგრძლივობა-10 წუთს.

4.9. დღის განმავლობაში საკონტაქტო საათების მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს 8 საათი.

მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ხელმძღვანელი

5.1. კოლეჯის მიერ განხორციელებად, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

5.2. პროფესიული მომზადების პროგრამას და პროფესიული გადამზადების პროგრამას ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი-შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

5.3. პროგრამას, თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლებელია ყავდეს რამდენიმე ხელმძღვანელი.

5.4. ერთმა და იმავე პირმა არ შეიძლება უხელმძღვანელოს ორზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამას;

5.5. პროგრამის ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

5.5.1. დარგის/მიმართულების შესაბამისი აკადემიური/პროფესიული კვალიფიკაცია.

5.5.2. დარგის/მიმართულების შესაბამისი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

5.5. პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიულ განათლების მასწავლებელთან/პროგრამის განმახორციელებელთან ან/და დამსაქმებელთან ერთად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში, დანერგვასა და მოდიფიცირებაში, პროგრამის მონიტორინგისა და განვითარების პროცესებში. მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესში.

5.6. პროგრამის ხელმძღვანელი არის ძირითადი საკონტაქტო პირი, რომელიც მონაწილეობს პროგრამის შიდა და გარე შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში, პროგრამის სრულყოფის მიზნით ეცნობა შედეგებს, რეაგირებს მასზე, აანალიზებს და აფასებს მათ.

მუხლი 6. პროფესიული განათლების მასწავლებელი

6.1. პროფესიული განათლების მასწავლებელი არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში.

6.2. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.

6.3. სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის კოლეჯს ჰყავს კოლეჯის სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შერჩეული შესაბამისი ოდენობის პროფესიული განათლების მასწავლებლები.

6.4. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით შეიძლება დადგინდეს პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის დამატებითი მოთხოვნები.

6.5. პროფესიული განათლების მასწავლებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი.

6.6. პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობებია:

6.6.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა;

6.6.2. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება;

6.6.3. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი სააკადემიკო კომისიის წევრობა და მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში;

6.6.4. პროფესიული სტუდენტების დეტალური ინფორმირება შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ განმსაზღვრელ შეფასებამდე 3 სამუშაო დღით ადრე;

6.6.5. შეფასების ინსტრუმენტების შეგროვების უზრუნველყოფა, აღნიშნული მტკიცებულებების პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში მოთავსება და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისათვის გადაცემა მოდულის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში;

6.6.6. კოლეჯის დირექტორის ინფორმირება იმ სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების შესახებ, რომელიც/რომლებიც შესაბამისი პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერ აღწევს/აღწევს სწავლის შედეგების დადასტურებას;

6.6.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში, მოდიფიცირებასა და დანერგვაში მონაწილეობა;

6.6.8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის დაწყებამდე 15 დღით ადრე მოდულის განხორციელების კალენდარული გეგმის, შეფასების ინსტრუმენტისა და მოდულის განხორციელებისათვის საჭირო შესაძენი ნედლეულისა და მასალის ჩამონათვალის წარდგენა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისათვის.

6.7. კომპეტენციის ფარგლებში კოლეჯის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხვა დავალებათა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი რეგულაციებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებათა შესრულება.

მუხლი 7. პროგრამის განმახორციელებელი

7.1. პროგრამის განმახორციელებელი არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში.

7.2. პროგრამის განმახორციელებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.

7.3. პროგრამის განმახორციელებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი.

7.4. პროგრამის განმახორციელებლის ფუნქცია-მოვალეობებია:

7.4.1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებასა და დანერგვაში მონაწილეობა;

7.4.2. თემის დამთავრების შემდგომ მსმენელთა შეფასება;

7.4.3. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი სააპელაციო კომისიის წევრობა და მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში;

7.4.4. მსმენელთა დეტალური ინფორმირება შეფასების პროცედურის შესახებ შეფასებამდე 2 სამუშაო დღით ადრე;

7.5. კომპეტენციის ფარგლებში კოლეჯის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხვა დავალებათა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი რეგულაციებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებათა შესრულება.

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირება, დანერგვა, დამატება და მოდიფიცირება .

8.1. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, არჩევითი მოდულები, სასწავლო გეგმა და პროფესიული მასწავლებლები.

8.2. მოდული არის სწავლების დამოუკიდებელი, თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც ორიენტირებულია მისაღწევი სწავლის შედეგებზე. მოდულით განისაზღვრება სასწავლო თემატიკისა და მისაღწევი სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი და პროფესიული სტუდენტის სწავლებასა და შეფასების ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. მოდული წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელ ნაწილს და მტკიცდება პროგრამასთან ერთად. მოდულში ცვლილები ხორციელდება შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

8.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

8.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების მიზნით კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი რომლის შემადგენლობაში შედიან: პროფესიული მასწავლებლები, დამსაქმებლები, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელები და კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულები.

8.5. ცვლილება შეტანილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, პროგრამის ხელმძღვანელი წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

8.6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ცვლილება შეტანილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

8.7. მოდულის სტანდარტულ ჩანაწერში ცვლილებების განხორციელება არ შეიძლება. დახმარე ჩანაწერი არის სარეკომენდაციო ხასიათის და კოლეჯი უფლებამოსილია მოახდინოს მისი ცვლილებები საჭიროების შემთხვევაში. თუ სტანდარტულ ჩანაწერში დაფიქსირებულია ხარვეზები, კოლეჯმა აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობოს სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

8.8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებასთან დაკავშირებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას, რის შემდეგაც კოლეჯი ახდენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ინფორმირებას, განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

8.9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებათა შესახებ კოლეჯი დეტალურად ახდენს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას.

8.10. მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე, რომელიც ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევას.

8.11. აღნიშნულის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების თაობაზე, რის შესახებაც გამოსცემს ბრძანებას და ქმნის სამუშაო ჯგუფს პროგრამის შემუშავების მიზნით.

8.10. შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის წარდგინების საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას ზემოაღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე.

8.11. დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის უფლების მოპოვების მიზნით კოლეჯი შესაბამის განაცხადს წარადგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

მუხლი 9. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

9.1. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების მიზანია საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიწოდება და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით.

9.2. ინტეგრირება გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის მოთხოვნების ასახვას პროგრამის იმ კომპონენტებში, რომლებიც ორიენტირებულია საკვანძო კომპეტენციების ან/და ტრანსფერული უნარების გამომუშავებასა და განვითარებაზე.

9.3. ინტეგრირების მიზნებისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ზოგადი მოდულებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის სავალდებულო საგანთა ჯგუფის გაერთიანებით ინტეგრირებული ზოგადი მოდულებია:

- ა) კომუნიკაცია ქართულ ენაზე
- ბ) მათემატიკური წიგნიერება
- გ) მოქალაქეობა
- დ) მეწარმეობა
- ე) მეცნიერება და ტექნოლოგიები

9.4. ამ მუხლის 9.3 პუნქტში მითითებული ინტეგრირებული ზოგადი მოდულები წარმოადგენს პროგრამის შემადგენელ ნაწილს და დაუშვებელია მათი პროგრამისგან დამოუკიდებლად განხორციელება.

9.5. პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეადგენს არანაკლებ 3 წელს.

9.6. პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა.

მუხლი 10. ჩარიცხვის პროცედურა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

10.1. პროფესიული სტუდენტი არის პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

10.2. აპლიკანტი, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების გათვალისწინებით არის პირი, რომელსაც აქვს საბაზო, სრული ზოგადი ან უმაღლესი განათლება.

10.3. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.

10.4. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.

- 10.5. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ კოლეჯის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.
- 10.6. რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ელექტრონულ ფოსტასა და მობილური ტელეფონის ნომერზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით. შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით.
- 10.7. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასებას.
- 10.8. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.
- 10.9. შერჩევის პერიოდის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, მართვის სისტემა უზრუნველყოფს:
- 10.9.1. აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
 - 10.9.2. აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სარეგისტრაციო სისტემაში, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით.
- 10.10. კოლეჯი აწარმოებს აპლიკანტების ჩარიცხვას პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.
- 10.11. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს:
- 10.11.1. აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს;
 - 10.11.2. დოკუმენტების წარდგენის ფორმას;
 - 10.11.3. დოკუმენტების წარდგენის ვადებს;
 - 10.11.4. ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველებს;
 - 10.11.5. ხელშეკრულების გაფორმების პირობებსა და ვადებს;
 - 10.11.6. სხვა საკითხებს, კოლეჯის გადაწყვეტილებით.
- 10.12. აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალია:
- 10.12.1. პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;
 - 10.12.2. პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი, ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი);
 - 10.12.3. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);
 - 10.12.4. 2 ფოტო სურათი
- 10.13. წინამდებარე მუხლის 10.12. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე აპლიკანტმა უნდა უზრუნველყოს დოკუმენტების სრულად წარმოდგენა.
- 10.14. აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი კოლეჯის დირექტორის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის გამოცემის, მასთან სასწავლო ხელშეკრულების გაფორმებისა და ელექტრონულ მართვის სისტემაში ასახვის შემდეგ.

10.15. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, კოლეჯს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად, დამატებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება მოცემულ პროგრამაზე შემდეგ წელს მისაღებ ადგილებს, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში - სწავლების შესაბამის ფორმაზე/სასწავლო გეგმაზე არსებულ თავისუფალ ადგილებს.

10.16. კოლეჯი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის/აქტების. საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

10.17. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს ავტორიზაციის საბჭო ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეჯის მიერ ცენტრში წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადში მითითებული ადგილების რაოდენობის მიხედვით.

10.18. აპლიკანტის ჩარიცხვასთან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.

მუხლი 11. სასწავლო ხელშეკრულება

11.1. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისას, კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტთან, ხოლო არასრულწლოვნობის შემთხვევაში მის კანონიერ წარმომადგენელთან იდება სასწავლო ხელშეკრულება.

11.2. წინამდებარე მუხლი 11.1. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

მუხლი 12. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები და მოვალეობები

12.1. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში.

12.2. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებების შეზღუდვა, თუ იგი არ ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მაღალი ხარისხის

სწავლების, დისციპლინისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან არ არის მიმართული ამ წესით დადგენილი კოლეჯის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისათვის.

12.3. კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებების გარდა კოლეჯის პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია:

12.3.1. მოსთხოვოს კოლეჯის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, კოლეჯის შიდა სამართლებრივი რეგულაციებით, პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან დადებული ხელშეკრულებითა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/პროფესიული მომზადების პროგრამითა და პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;

12.3.2. ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

12.3.3. მიიღოს კოლეჯის ადმინისტრაციისგან ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/ პროფესიული მომზადების პროგრამითა და პროფესიული გადამზადების პროგრამით და კოლეჯის სხვა რესურსების შესახებ;

12.3.4. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი, მოითხოვოს მისი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

12.3.5. საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში;

12.3.6. დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, რაიმე საფუძვლით დისკრიმინაციის ან/და შეურაცხყოფისაგან;

12.3.7. წერილობით გაასაჩივროს პროფესიული განათლების მასწავლებლის, დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის ან სხვა პროფესიული სტუდენტის არამართლზომიერი ქმედება მის მიმართ; პროფესიული სტუდენტის ზემოაღნიშნული საჩივარი წარედგინება კოლეჯის დირექტორს;

12.3.8. სასამართლოში გაასაჩივროს კოლეჯის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

12.3.9. საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური პროგრამის შემუშავებაში;

12.3.10. მიიღოს მონაწილეობა კოლეჯის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებაში.

12.3.11. განახორციელოს მისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის სამართლებრივი რეგულაციებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

12.4. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:

12.4.1. დაიცვას სასწავლო ხელშეკრულებით, ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით, წინამდებარე წესით, კოლეჯის სხვა შიდა სამართლებრივი რეგულაციებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

12.4.2. შეასრულოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/პროფესიული მომზადების პროგრამითა და პროფესიული გადამზადების პროგრამით დადგენილი მოთხოვნები;

12.4.3. პატივი სცეს სხვა პროფესიული სტუდენტის და კოლეჯის პერსონალის უფლებებსა და თავისუფლებებს;

12.4.4. გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს, გამოიყენოს ის დანიშნულებისამებრ და დაიცვას უსაფრთხოების ზომები;

12.4.5. სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით არ გამოიყენოს პლაგიატი;

12.4.6. არ მოახდინოს ალკოჰოლური სასმელის, თამბაქოსა და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული სხვა ნივთიერებების რეალიზაცია,

რეკლამირება/პროპაგანდა ან/და მოხმარება კოლეჯის შენობა-ნაგებობასა და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე. თამბაქოს მოხმარება დასაშვებია შინაგანაწესის შესაბამისად კოლეჯის დირექტორის მიერ განსაზღვრულ სპეციალურ ადგილას;

12.4.7. არ გადაადგილდეს კოლეჯის ტერიტორიაზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან/და ფსიქოტროპული თრობის მდგომარეობაში.

12.4.8. არ ატაროს და არ გამოიყენოს სანადირო, სპორტული, ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, ფეთქებადი ნივთიერება, ასაფეთქებელი მოწყობილობა და ცივი იარაღი კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე;

12.4.9. არ ითამაშოს აზარტული თამაშები კოლეჯის ტერიტორიაზე;

12.4.10. არ გამოიყენოს მობილური ტელეფონი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას (აუდიტორიებში, სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორიებში);

12.4.11. არ განახორციელოს პოლიტიკური აგიტაცია კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე;

12.4.12. მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონდეს სასწავლო პროცესის ჩაშლას ან ჩაშლის მცდელობას;

12.4.13. მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონდეს ძალადობის, შეურაცხყოფისა და ცილისწამების ფაქტს პროფესიული სტუდენტების და კოლეჯის პერსონალის მიმართ;

12.4.14. არ სცადოს შეფასების მიღება პროფესიულ მასწავლებელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებებით;

12.4.15. არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს კოლეჯის რეპუტაციასა და პრესტიჟს;

12.5. პროფესიული სტუდენტის /მსმენელის უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე მუხლით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის სხვა სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

13.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად ითვლება კოლეჯსა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

13.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

13.2.1. პირადი განცხადება;

13.2.2. მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როდესაც განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რაც შეუთავსებელია სწავლასთან;

13.2.3. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;

13.2.4. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ორსულობა და ახალშობილის მოვალა;

13.2.5. კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძველები.

13.3. პირადი განცხადების საფუძველზე პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის შეჩერების მოთხოვნა დაუშვებელია თუ განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებობს აღნიშნული პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

13.4. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება კოლეჯის სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

13.5. დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება.

- 13.6. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 5 წლის ვადით. პროფესიულ სტუდენტს სტუდენტის სტატუსის შეუწყდება თუ კი ზემოაღნიშნულ ვადაში არ აღიდგენს სტატუსს.
- 13.7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუმეტეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.
- 13.8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
- 13.9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლას გააგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით საგანმანათლებლო პროგრამის იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და განსახილველად წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
- 13.10. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
- 13.11. იმ შემთხვევაში, თუ ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზედაც ირიცხებოდა პროფესიული სტუდენტი მისთვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის გაუქმებულია, ან შეცვლილია მოქმედებს წინამდებარე წესის 19 მუხლის 19.1 პუნქტი.
- 13.12. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასა და აღდგენასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.

მუხლი 14. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

- 14.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება კოლეჯისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.
- 14.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
- 14.2.1. პირადი განცხადება;
 - 14.2.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
 - 14.2.3. გარდაცვალება;
 - 14.2.4. სწავლის პერიოდში 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
 - 14.2.5. კანონიერ ძალაში შესული განაჩენი პროფესიული სტუდენტის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას;

14.2.6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის მინიმუმ ერთი სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა (წინამდებარე წესის მუხლი 21-ის შესაბამისად) ან/და მიმდინარე თვეში არასაპატიო მიზეზით საკონტაქტო საათების 50%-ზე მეტი საათის გაცდენა (საპატიოდ ითვლება არაბრალებულად გაცდენილი საათი – დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, ოჯახური მდგომარეობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო) განმეორდა შემდგომ თვეშიც.

14.2.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის „ქართული ენა A2“ სწავლის შედეგის ვერ დადასტურება წინამდებარე წესით დადგენილი პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის შესაბამისად (იგულისხმება განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასება);

14.2.8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის „ქართული ენა B1“ სწავლის შედეგის ვერ დადასტურება წინამდებარე წესით დადგენილი პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის შესაბამისად (იგულისხმება განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასება);

14.2.9. კოლეჯის შინაგანაწესითა და ამ წესით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძვლები.

14.3. კოლეჯი ვალდებულია პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს აცნობოს პირს აღნიშნულის შესახებ, შესაძლებლობის შემთხვევაში მოისმინოს მისი პოზიცია და მისცეს მას ახსნა განმარტების წარმოდგენის უფლება. ახსნა-განმარტების წარმოდგენის ვადაა ინფორმირებიდან განისაზღვროს 5 სამუშაო დღით.

14.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას.

14.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პირისათვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი აღარ განიხილება.

14.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება კოლეჯის დირექტორის დასაბუთებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.

მუხლი 15. მობილობა

15.1. პროფესიული სტუდენტის მობილობა არის პროფესიულ სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლებისა და კრედიტების აღიარება.

15.2. პროფესიული სტუდენტის მობილობა შეიძლება განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებიდან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებაში (გარე მობილობა) ან მის ფარგლებში ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (შიდა მობილობა).

15.3. გარე და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელსაც მოპოვებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის პროფესიული დაწესებულების პროფესიული სტუდენტი, ან პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

15.4. მობილობის პროცედურის დაწყების საფუძველია პროფესიული სტუდენტის, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადება (განცხადებას თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები).

15.5. აღნიშნული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, სადაც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა შესაბამის პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა (საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით კოლეჯი უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას).

15.6. მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში ზემოაღნიშნული ოქმის საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს პირის ჩარიცხვის შესახებ, რომელიც არაუგვიანეს 5 დღისა აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

15.7. შიდა მობილობის შემთხვევაში კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას შესაბამისი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა, მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

15.8. კოლეჯი უფლებამოსილია დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძველების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.

15.9. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.

15.10. მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ავტომატურტად ჩაეთვლება მოდულის გავლა.

15.11. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ უნდა ეცნობოს არა უმეტეს განხილვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

15.12. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში. პროფესიული სტუდენტები, რომელთა დაწესებულებები ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ან დაწესებულებამ დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ან გაუვიდა ავტორიზაციის ვადა და მიიჩნევიან პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად, მათი მობილობა დასაშვებია ზღვრული რაოდენობის გადაჭარბების არაუმეტეს 25 % ისა. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის კოლეჯის მიერ დადგენილი სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

15.13. კოლეჯი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

15.14.1. კოლეჯს არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

15.14.2. კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;

15.14.3. მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს კოლეჯის მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

15.15. მობილობის წესით პროფესიული სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში.

15.16. გარე მობილობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ოფიციალური დოკუმენტი შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის შესახებ.

მუხლი 16. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება და კვალიფიკაციის მინიჭება

16.1. კვალიფიკაცია – კოლეჯის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომით.

16.2. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად აღიარებულ უნდა იქნას პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგი.

16.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტულ საფეხურზე პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ მისი განათლების აღიარებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარდგინების საფუძველზე გამოცემული დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

16.4. პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭება აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

16.5. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მზადდება და გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელსაც ხელს აწერს დირექტორი და მოწმდება კოლეჯის ბეჭდით.

16.6. დიპლომი, რომელიც გაცემულია იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან.

16.7. პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება სერტიფიკატითა და სერთიფიკატის დანართით.

16.8. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული საფეხური შეიძლება მიეცეს დირექტორის მიერ ხელმოწერილი და კოლეჯის ბეჭდით დამოწმებული სერთიფიკატი და სერთიფიკატის დანართი, რომლითაც დასტურდება მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.

16.9. დიპლომისა და სერთიფიკატის რეგისტრაციაში გატარების წესი განსაზღვრულია კოლეჯის საქმისწარმოების ერთიანი წესებით.

16.10. დიპლომის/სერთიფიკატის დუბლიკატი გაიცემა იმ პირზე, რომლის დიპლომი/სერთიფიკატი აღარ არსებობს ან გახდა გამოსაყენებლად უვარგისი.

16.11. პროფესიული განათლების აღიარებასა და კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია დადგენილი წესით ინახება კოლეჯში შემდგომი დამუშავებისა და არქივში გადაცემისათვის.

16.12. დიპლომის/დიპლომის დუბლიკატის, დიპლომის დანართისა და სერთიფიკატის/სერთიფიკატის დუბლიკატის, სერთიფიკატის დანართის გაცემასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომელსაც არ ითვალისწინებს წინამდებარე წესი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 17. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქართული ენა A2 და ქართული ენა B1-ზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის გაგრძელება

17.1. მოდულების ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის ცოდნა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

17.2. პროფესიული სტუდენტი, ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:

17.2.1. სწავლა განაგრძოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი პროფესიული ტესტირების ფარგლებში ამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

17.2.2. ამ პუნქტის 17.2.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ამავე წესის მუხლი 14-ის შესაბამისად ისარგებლოს მობილობით მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

17.2.3. შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

17.3. პროფესიული სტუდენტის მიერ ქართული ენის მოდულის დაუძლეველობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 18. პირის მიერ ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების აღიარების პრინციპები

18.1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (შემდგომში – ფორმალური განათლების აღიარება) მიზანია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

18.2. ფორმალური განათლების აღიარებას ახდენს კოლეჯი მიმდინარე მუხლში მითითებული მოთხოვნების საფუძველზე.

18.3. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:

18.3.1. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;

18.3.2. მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

18.3.3. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში – განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.

18.4. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს 1 თვეს განცხადების წარმოებაში მიღებიდან.

18.5. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

18.5.1. კოლეჯისათვის განცხადების წარდგენა, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) კოლეჯის დასახელებას;

ბ) განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;

გ) განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;

დ) განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;

ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;

ზ) განმცხადებლის ხელმოწერას;

თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

განცხადებას უნდა ერთოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს.

18.5.2. კოლეჯი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის 18.5 პუნქტის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი კოლეჯს არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, კოლეჯი განმცხადებელს განუსაზღვრავს 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

18.5.3. დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით.

18.5.4. კომისიის მიერ ხდება განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/ შეფასება და მიღებული გადაწყვეტილების ოქმში ასახვა.

18.5.5. ოქმში ასახული გადაწყვეტილება აისახება კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში.

18.6. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

18.6.1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;

18.6.2. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

18.7. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით.

18.8. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელშიც მითითებული იქნება:

18.8.1. კოლეჯის დასახელება;

18.8.2. განმცხადებლის ვინაობა;

18.8.3. იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;

18.8.4. აღიარებული კრედიტების რაოდენობა;

18.8.5. გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;

18.8.6. გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.

18.9. კოლეჯი ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

18.10. ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებულ შესაბამის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში 5 დღის ვადაში.

18.11. ფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე წესით დარეგულირდება საქართველოს მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 19. არაფორმალური განათლების აღიარება

19.1. არაფორმალური განათლება არის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შექმნას.

19.2. არაფორმალური განათლების აღიარების მიზანია არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირისთვის (შემდეგში – მაძიებლისთვის), ფორმალური განათლების მიღმა მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, პროფესიული განვითარების, სწავლის გაგრძელების ან/და კვალიფიკაციის მინიჭების ან/და დასაქმების/კარიერული ზრდის/თვითდასაქმების ხელშეწყობისთვის.

19.3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება ხდება პროფესიული სტანდარტის გათვალისწინებით.

19.4. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წინაპირობაა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი პირის, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლად (შემდგომში - მაძიებელი) დაშვება.

19.5. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

19.5.1. განცხადების წარდგენა;

19.5.2. კონსულტირება/დოკუმენტირება;

19.5.3. შეფასება;

19.5.4. გადაწყვეტილების მიღება.

19.6. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი პირი მაძიებლად დაიშვება თუ ის აკმაყოფილებს პროფესიული განათლების მიღებისათვის და საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და

პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ წინაპირობებს.

19.7. მაძიებელმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს:

19.7.1. განცხადება წერილობითი ფორმით, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: კოლეჯის დასახელებას; მაძიებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს; ელ-ფოსტას; ტელეფონის ნომერს; განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს; არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ მაძიებლის მოთხოვნას, მისი დასაქმების/განათლების სფეროს, არაფორმალური განათლების აღიარების მიზანს; მაძიებლის ხელმოწერას; განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში;

19.7.2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

19.7.3. არსებობის შემთხვევაში, არაფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი: შრომითი ხელშეკრულებ(ებ)ის ასლი, სამუშაოს აღწერილობა, ცნობა სამუშაო ადგილიდან, სერტიფიკატი და ა.შ.

19.8. არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ კონსულტირების მიზნით, მაძიებელი წერილობით მიმართავს უფლებამოსილ დაწესებულებას.

19.9. კონსულტირება ხორციელდება კონსულტაციის გაწვევაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, რომელიც არის სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად სერტიფიცირებული პირი.

19.10. კონსულტაციის გაწვევაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს მაძიებლის ინფორმირებას მისთვის სასურველი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის შესახებ; ეხმარება პირს თვითშეფასების კითხვარის მეშვეობით განსაზღვროს არაფორმალურად შეძენილი პროფესიული კომპეტენციები და არსებობის შემთხვევაში დაადასტუროს ისინი შესაბამისი დოკუმენტაციით; განუმარტავს მაძიებელს არაფორმალური განათლების აღიარების ეტაპებს; შუამდომლობს შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან არაფორმალური განათლების აღიარებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

19.11. კონსულტირების შედეგად, კონსულტანტი ავსებს კონსულტირების ფორმას და მასთან ერთად კომისიის წინაშე წარადგენს ინფორმაციას მაძიებლისა და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესახებ.

19.12. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის უზრუნველყოფის მიზნით არაფორმალური განათლების აღიარებაზე უფლებამოსილი დაწესებულება, მაძიებლის განცხადებისა და კონსულტირების ფორმის (შემდგომში – კონსულტირების ფორმა) შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით ქმნის აღიარების კომისიას, რომლის გადაწყვეტილებაც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

19.13. კომისია უფლებამოსილია, მაძიებელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენა და/ან მიიღოს გადაწყვეტილება არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით გამოცდის ჩატარების (მათ შორის სამუშაო ადგილზე დაკვირვების/გამოცდის) და/ან სხვა ტიპის შეფასების შესახებ. ასევე, კონსულტანტისგან გამოითხოვოს მაძიებლის შესახებ დამატებითი ინფორმაცია.

19.14. უფლებამოსილი დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მაძიებლის ინფორმირება წერილობით, ზეპირად ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით შეფასების მეთოდების/ფორმებისა და პროცედურის შესახებ, ასევე გამოცდის/გამოცდების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ.

19.15. ასაღიარებელი სწავლის შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოცდა შეიძლება ჩატარდეს წერილობით, ზეპირი ან/და პრაქტიკული დავალების შესრულებით. მაძიებლის პრაქტიკული კომპეტენციების შემოწმების მიზნით გამოცდა/შეფასება ტარდება უფლებამოსილი დაწესებულების ან/და დამსაქმებლის ბაზაზე.

19.16. არაფორმალური განათლების აღიარება ხორციელდება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ან/და მოდულში განსაზღვრული სწავლის შედეგ(ებ)ის შეფასების და დადასტურების გზით.

19.17. კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

19.17.1. არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ (ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და მოდულის სწავლის შედეგები დაადასტურა პირმა);

19.17.2. არაფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების შესახებ (ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და მოდულის სწავლის შედეგები დაადასტურა პირმა, ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და მოდულის სწავლის შედეგები ვერ დაადასტურა პირმა, შესაბამისი დასაბუთებით);

19.17.3. არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ (ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და მოდულის სწავლის შედეგები ვერ დაადასტურა პირმა შესაბამისი დასაბუთებით.).

19.18. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მოიცავს:

19.18.1. უფლებამოსილი დაწესებულების დასახელებას;

19.18.2. მაძიებლის ვინაობას;

19.18.3. გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;

19.18.4. გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.

19.19. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცემა უფლებამოსილი დაწესებულების უფლებამოსილი პირის ბრძანება აღიარების დადასტურებაზე, ნაწილობრივ აღიარებაზე ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

19.20. არაფორმალური განათლების აღიარების დადასტურების შესახებ ბრძანების საფუძველზე დაწესებულების მიერ, მაძიებლის სახელზე გაიცემა:

19.20.1. მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში – სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი;

19.20.2. მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად ვერ დადასტურების შემთხვევაში – ცნობა დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ;

19.20.3. მაძიებლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიღწევისთვის აუცილებელი სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში უფლებამოსილი დაწესებულება გასცემს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს.

19.21. მაძიებლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიღწევისთვის აუცილებელი სწავლის შედეგების ნაწილობრივ დადასტურების შემთხვევაში, უფლებამოსილი დაწესებულება არ გასცემს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.

19.22. არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ მაძიებლის განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

19.23. უფლებამოსილი დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს მაძიებელს გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

19.24. მაძიებლის არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის არაფორმალური განათლების აღიარების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

19.25. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე წესით დარეგულირდება საქართველოს მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 20. კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

20.1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია ან შესთავაზოს ქვემოთ ჩამოთვლილი მექანიზმები შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით:

20.1.1. კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე ან მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;

20.1.2. კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც თავად ახორციელებს.

20.2. ამ მუხლის 20.1. პუნქტის 20.1.1. და 20.1.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარება.

20.3. კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ქვემოთ მოცემულ მექანიზმს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით:

20.3.1. კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

20.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობას, რის შესახებაც წერილობით (ელ. ფოსტა) აცნობებს პროფესიულ სტუდენტებს, განუმარტოს აღნიშნული ცვლილებების შესახებ და სთავაზობს მათ დაასრულონ სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

20.5. კოლეჯი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, ამ პროგრამის შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ აღნიშნული პროგრამის შეცვლამდე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის განხორციელების შესახებ.

20.6. ამ მუხლის მე-20.1. პუნქტის 20.1.1, და 20.1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში თუ კი პროფესიული სტუდენტი წერილობით უარს განაცხადებს არსებულ მექანიზმებზე, კოლეჯი ახორციელებს შესაბამისი სერთიფიკატისა და სერთიფიკატის დანართის გაცემას აღნიშნული პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების საფუძველზე.

20.7. კოლეჯისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში ამ კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის ისინი, ვისაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის

სტატუსი, უფლებამოსილი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში.

20.8. ავტორიზაციის ვადის გასვლით პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის, ასევე კოლეჯის უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციის შემთხვევაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის, ისინი, ვისაც ავტორიზაციის ვადის გასვლამდე ან კოლეჯის უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის ვადის გასვლიდან/ლიკვიდაციიდან 5 წლის განმავლობაში.

მუხლი 21. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების წესი

21.1. პროფესიული სტუდენტის შეფასება მის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

21.2. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის პროფესიული მასწავლებლის გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

21.3. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. ის ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

21.3.1. სწავლის შედეგი დადასტურდა;

21.3.2. სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

21.4. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს ზემოაღნიშნული უფლების რეალიზების საშუალება ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში ეძლევა მხოლოდ ორჯერ.

21.5. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით ნიშნავს განმეორებითი შეფასების თარიღს, რომელიც ეცნობება პროფესიულ სტუდენტს შეფასების თარიღამდე მინიმუმ ორი სამუშაო დღით ადრე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

21.6. ორივეჯერ უარყოფითი შედეგების მიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ხელმეორედ გაიაროს მოდული.

21.7. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის საჩივრის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში საჩივარის რეგისტრაციიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში საქმისწარმოების სამსახური ამოწმებს აღნიშნული საჩივრის შესაბამისობას საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილ მოთხოვნებთან (თუ კი საჩივარი შეუსაბამოა აღნიშნულ მოთხოვნებთან, საქმის წარმოების სამსახური წერილობით განუსაზღვრავს საჩივრის ავტორს 5 დღის ვადას ხარვეზის გამოსწორებისათვის), რის შემდგომაც დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სააპელაციო კომისია და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას. განხილვის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება

საჩივრის ავტორს და განემარტება მისი უფლებები და მოვალეობები აღნიშნული განხილვის ფარგლებში.

21.8.სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი, პროფესიული სტუდენტი (პროფესიული სტუდენტი არ უნდა იყოს სააპელაციო განაცხადის წარმდგენი პროფესიული სტუდენტის თანაჯგუფელი), დარგის სპეციალისტი - პროფესიული განათლების მასწავლებელ(ებ)ი (პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი). კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან აფასებს პროფესიულ სტუდენტს განმსაზღვრელი შეფასებით, რომლის შედეგების საფუძველზე საოქმო დადგენილების სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის საჩივარზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ ფოსტის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

21.9.პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალიდაციის მიზნით მოდულის დაწყებამდე 7-15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს მოდულის განხორციელების კალენდარულ გეგმას, შეფასების ინსტრუმენტსა და მოდულის განხორციელებისათვის საჭირო შესაძენი ნედლეულისა და მასალის ჩამონათვალს;

21.10.შეფასების ინსტრუმენტში შემავალი საკითხები უნდა იყოს დაბალანსებული და გონივრული პროპორციით ფარავდეს მოდულების შედეგს/შედეგებს. შეიცავდეს სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ და ტრანსფერული უნარების შემფასებელ კომპონენტებს.

21.11.შეფასების ინსტრუმენტები მუდმივად განახლებადი უნდა იყოს, და პასუხობდეს დარგის განვითარების/შრომის ბაზრის მოთხოვნებს. რაც გულისხმობს, პერიოდულად ცვლილებების განხორციელებას.

21.12.შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალიტთან ერთად დანართი 1-ის შესაბამისად;

21.13.ვალიდაცია გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას;

21.14.დაუშვებელია, შინაარსობრივი ვალიდაციის პროცესში ჩართული იყოს პირი, რომელიც მონაწილეობდა ამ ინსტრუმენტის შემუშავებაში;

21.15.შეფასების ინსტრუმენტში ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში 2 დღის ვადაში რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება შეფასების ინსტრუმენტი პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს წარუდგინოს შესწორებული სახით;

21.16.პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიმუშავებს შეფასების ინსტრუმენტს, ის უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს თუ რომელ შეფასების მეთოდს გამოიყენებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას;

21.17.შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას. ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებით.

21.18.პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია
- მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი
- მოდულის განმახორციელებელი პირი
- პროფესიული სტუდენტის გვარი, სახელი

- შეფასების ჩატარების თარიღი
- დასადასტურებელი შედეგ(ებ)ი
- შესრულების კრიტერიუმები
- შეფასების მიმართულება
- შეფასების მეთოდი
- შეფასებისათვის განკუთვნილი დრო
- შეფასების მტკიცებულების სახე
- შეფასების ადგილი/გარემოს აღწერა
- დავალების აღწერა
- დავალების შესრულების ინსტრუქცია
- დამატებითი პირობები
- ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი
- განმეორებითი შეფასების პირობები
- აპელაციის პირობები
- შრომის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის რეკომენდაციები
- შეფასების პროცესისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა/მასალები/

ინვენტარი

- შედეგის დადასტურება ან არ დადასტურება
- შემფასებელი პირის ხელმოწერა
- შესაფასებელი პირის ხელმოწერა

21.19. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

21.20. შესრულების მტკიცებულებები ინახება მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება კოლეჯის საქმისწარმოების ერთიანი წესით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

21.21. შესრულების მტკიცებულებები მოიცავს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.

21.22. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

21.23. სწავლის შედეგის დადასტურება ხორციელდება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ.

21.24. კონკრეტული მოდულის ფარგლებში შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

21.25. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით და ეცნობება თითოეულ პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალურად ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

21.26. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კი გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

21.27. პროფესიული სტუდენტი, რომელიც სრულად ვერ ითვისებს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულს და წყვეტს სწავლას, უფლებამოსილია მოითხოვოს სერთიფიკატი განვლილი მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ.

მუხლი 21'. შუალედური შეფასება

- 21'.1 შუალედური შეფასება წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტებისათვის განმავითარებელი შეფასების უკუკავშირის მიცემის ერთერთ მექანიზმს;
- 21'.2. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა პროფესიული სტუდენტისათვის სავალდებულოა და ის წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას;
- 21'.3. საპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა განმეორებით შუალედურ შეფასებაში.
- 21'.4. არასაპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, ან განმეორებით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, შესაძლოა გახდეს სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი;
- 21'.5. საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს:
- 21'.5.1. ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობა, რაც მოკლებულია ძირითად ვადებში შეფასების პროცესში მონაწილეობას;
 - 21'.5.2. ფორსმაჟორული გარემოება;
- 21'.6. განმეორებითი შეფასების ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით ამ მუხლის 21'.8. პუნქტით დადგენილ ვადებში.
- 21'.7. შუალედური შეფასების შედეგები არ გამოიყენება სწავლის შედეგების დადასტურებისათვის, კრედიტის მინიჭებისათვის, ან პროფესიული სტუდენტის სტატუსის განსაზღვრისათვის/შეცვლისათვის;
- 21'.8. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების 40% და 60 %-ს შორის და თემატიკა ეხება მხოლოდ შუალედური შეფასების ჩატარებამდე მიღწეულ სწავლის შედეგებს.
- 21'.9. შუალედური შეფასების ინსტრუმენტის შესამუშავებლად, შუალედური შეფასების ჩასატარებლად და შედეგების შესასწავლად იქმნება კომისია, რომლის ფუნქცია მოვალეობები და მოქმედების ვადა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.
- 21'.10. კომისიის შემადგენლობა უნდა განისაზღვროს არა ნაკლებ 3 წევრისა და მასში უნდა შედიოდეს დარგის სპეციალისტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი.
- 21'.11. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიით შემადგენლობის უმრავლესობა;
- 21'.12. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით;
- 21'.13. კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს;
- 21'.14. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;

21'.15. შუალედური შეფასების მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტი ვალიდაციას გადის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს

21'.16. შუალედური შეფასების ჩატარების თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული ჯგუფისათვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით, არაუგვიანეს შეფასების ჩატარებამდე ერთი თვით ადრე;

21'.17. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება შუალედური შეფასების თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით კოლეჯის დირექტორის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა;

21'.18. შუალედური შეფასება უნდა იძლეოდეს სტუდენტის მიერ მიღწეული კომპეტენციების ჰოლისტური შეფასების შესაძლებლობას;

21'.19. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:

21'.19.1. თეორიული შეფასება;

21'.19.2. პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;

21'.19.3. პროექტის პრეზენტაცია;

21'.19.4. სიტუაციის განხილვა და ანალიზი;

21'.19.5. სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია;

21'.20. შუალედური გამოცდის მიმდინარეობის შეფასება წარმოებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ, შუალედურ შეფასების პროცესზე დასწრებით.

21'.21. პროფესიული სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება კოლეჯში პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე, რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება კოლეჯის საქმისწარმოების ერთიანი წესით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

21'.22. კომისია შუალედური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაწესებულებას აძლევს უკუკავშირის პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოჩენილ ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში გასცეს რეკომენდაციები;

21'.23. კომისიის შეფასება და რეკომენდაციები აისახება შესაბამის ოქმში;

21'.24. რეკომენდაციების შემუშავების პროცესში ერთვება კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

21'.25. შუალედური შეფასების შედეგების შესახებ სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია კომისიის შეფასებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის განმავლობაში.

21'.26. შუალედური შეფასების შედეგები შესაძლოა საფუძვლად დაედოს პროგრამაში ცვლილებების ინიცირებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, მატერიალური რესურსების შეფასებას, მარეგულირებელ აქტებში ცვლილებას ან საგანმანათლებლო სტანდარტებში ცვლილებების ინიცირებას, კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში;

მუხლი 22. ვერიფიკაციის მექანიზმები

- 22.1. ვერიფიკაციის მექანიზმების მიზანია კოლეჯში გამოყენებული პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა იყოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი.
- 22.2. კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების ვერიფიცირების პერიოდს და მოხსენებითი ბარათით მიმართავს დირექტორს ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ.
- 22.3. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან:
- 22.3.1. შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
 - 22.3.2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
 - 22.3.3. დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები;
 - 22.3.4. ვერიფიკაციის პროცესში შეიძლება ჩართული იყვნენ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები.
- 22.4. ვერიფიკაციის პროცესში არ უნდა იყოს ჩართული ის პირი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შეიმუშავების პროცესში.
- 22.5. ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს სამ ეტაპს:
- 22.5.1. გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
 - 22.5.2. შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;
 - 22.5.3. შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია;
- 22.6. ვერიფიკაცია შეიძლება შერჩევითი პრინციპით განხორციელდეს.
- 22.7. შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციისას არ განიხილება ყველა პროფესიული სტუდენტის მტკიცებულება, თუმცა ხდება საკმარისი რაოდენობის ნამუშევრების შერჩევა იმისთვის, რომ მოდულის ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს.
- 22.8. შეფასების სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევისას კოლეჯი მოქმედებს შემდეგი რისკების გასათვალისწინებით:
- 22.8.1. დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებელი;
 - 22.8.2. აპელაციის ხშირი მოთხოვნა;
 - 22.8.3. ერთი ინსტრუმენტით შეფასებული რამოდენიმე სწავლის შედეგი;
 - 22.8.4. მოდულის ფარგლებში უმეტესობა დაუდასტურებელი შედეგი;
 - 22.8.5. სხვა გარემოებები.
- 22.9. ვერიფიკაციის ჯგუფის ყველა წევს აქვს პროცესში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა;
- 22.10. ვერიფიკაციის ჯგუფის თითოეული წევრი ანგარიშში ასახელებს იმ საკითხ(ებ)ს, რომლებიც გარკვევას და განხილვას საჭიროებენ.
- 22.11. ვერიფიკაციის ჯგუფი თანხმდება შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების საბოლოო კომენტარებზე.
- 22.12. ჯამდება ვერიფიკაციის ჯგუფის თითოეული წევრის მიერ გაკეთებული ანგარიში.
- 22.13. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში.
- 22.14. დასკვნას ხელს აწერს პროცესზე პასუხისმგებელი და მონაწილე პირ(ებ)ი;
- 22.15. ვერიფიკაციის დასკვნა წარედგინება კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განსახილველად.
- 22.16. დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი.
- 22.17. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვერიფიკაციის დასკვნას მოხსენებითი ბარათით წარუდგენს დირექტორს;

22.18. დასკვნის განხილვისა და ანალიზის შედეგად განხილვაში ჩართულმა მხრეებმა უნდა შეაჯერონ პრობლემების აღმოფხვრის გზები.

22.19.ვერიფიკაციის დასკვნაში ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, დგება საკითხი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ან/და პროფესიული განვითარების/გადამზადების შესახებ.

22.20.კოლეჯის ადმინისტრაცია დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას და მონიტორინგს უწევს მის განხორციელებას.

22.21. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად უნდა იყოს ასახული ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რომელიც ხელს შეუწყობს პრობლემატური საკითხების გადაჭრას.

22.22. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული უნდა იყოს: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

22.23. შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

22.23.1.ვალიდურობას-შეფასების სისტემა ვალიდურია, თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია შესაფასებელი სწავლის შედეგის დასადასტურებლად. შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტი უნდა იძლეოდეს სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

ვერიფიკაციის ჯგუფი შეფასების სისტემის ვალიდურობის დადგენის მიზნით შეისწავლის:

- ✓ შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას, მოდულის სწავლის შედეგით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებასთან;
- ✓ რამდენად სრულფასოვნად აფასებს შეფასების ინსტრუმენტი შესაფასებელ სწავლის შედეგებს მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

22.23.2.სანდობას- შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.

ვერიფიკაციის ჯგუფი შეფასების სისტემის სანდობის დადგენის მიზნით შეისწავლის:

- ✓ გამოყენებულია ვალიდური შეფასების მექანიზმები;
- ✓ იძლევა შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას;
- ✓ ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;
- ✓ საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მასწავლებელს, მიღებულ იქნას სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილება ყველა პროფესიულ სტუდენტთან მიმართებით.

22.23.3. გამჭვირვალობას-შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პიროსათვის.

ვერიფიკაციის ჯგუფი შეფასების სისტემის გამჭვირვალობის დადგენის მიზნით შეისწავლის:

- ✓ შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს;
- ✓ შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების შესახებ მტკიცებულებას;
- ✓ შესაფასებელი პირის ინფორმირებას კონკრეტული პირობების შესახებ, რომელთა მიხედვითაც, მაქსიმალურად ობიექტურად და გამჭვირვალედ შეფასდება ნებისმიერი პროფესიული სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი

22.23.4. სამართლიანობას-შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს

დადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

ვერიფიკაციის ჯგუფი შეფასების სისტემის სამართლიანობის დადგენის მიზნით შეისწავლის:

- ✓ შეფასებისათვის გამოყოფილი დროის საკმარისობას;
- ✓ შეფასებისათვის საჭირო გარემოს შესაბამისობას;
- ✓ შეფასებისათვის გათვალისწინებული შესაბამისი აღჭურვილობითა და მასალებით უზრუნველყოფას;
- ✓ შეფასების პროცესის განსაზღვრული პირობების დაცვით განხორციელებას.

22.23.5.ობიექტურობას-შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

ვერიფიკაციის ჯგუფი შეფასების სისტემის ობიექტურობის დადგენის მიზნით შეისწავლის:

- ✓ შეფასების მტკიცებულებებსა და უწყისებს, თუ რამდენად ერთნაირადაა შეფასებული ყველა ერთნაირად შესრულებული დავალება;

22.24. ვერიფიკაციის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შესაძლოა ვერიფიკაციის პროცესი შეიცვალოს და გაჩნდეს ახალი რეგულაციები, რაც დამტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

22.25 ვერიფიკაციის პროცესი უნდა ჩატარდეს კონკრეტული პროგრამის განხორციელების პერიოდში ერთხელ.

მუხლი 23. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება

23.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის პროგრესის შეფასებას.

23.2. ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების სისტემა უნდა იყოს:

- ა) ვალიდური;
- ბ) სანდო;
- გ) გამჭვირვალე;
- დ) სამართლიანი;
- ე) ობიექტური.

23.3. შეფასება არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი. ამასთან, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში გამოიყენება არადიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება.

23.4. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევას ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

23.5. განმავითარებელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას, მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გამოიყენება პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მიზნებისათვის.

23.6. პროფესიული სტუდენტი ფასდება შეფასების ტაქსონომიის გამოყენებით თითოეული თემის კონტექსტში და სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

23.7. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომია არის შეფასების ჰოლისტური რუბრიკა, რომლის საშუალებითაც ხდება პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება;

23.8. რუბრიკა შეფასების ეფექტური ინსტრუმენტი, რომელსაც როგორც პროფესიულ სტუდენტთა ნამუშევრების, ისე მუშაობის პროცესის შესაფასებლად გამოიყენება.

23.9. რუბრიკა იძლევა ისეთი ნამუშევრების შეფასების საშუალებას, როგორებიცაა პრეზენტაციები, წერიტი ნამუშევრები, პროექტები.

23.10. ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი ერთსა და იმავე სწავლის შედეგთან მიმართებით რამდენიმე კომპლექსურ დავალებას ასრულებს. თითოეული თემის ფარგლებში სავალდებულოა ყველა სწავლის შედეგზე მუშაობა (კომპლექსური დავალებების საშუალებით).

23.11. თემა – ინტეგრირებული ზოგადი მოდულის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულია, რომლის ფარგლებშიც, კომპლექსური დავალებების საშუალებით ხდება სწავლის ყველა შედეგზე მუშაობა;

23.12. კომპლექსური დავალება არის შემოქმედებითი პროდუქტი, რომლის საშუალებითაც წარმოჩინდება პროფესიული სტუდენტის მიღწევები ინტეგრირებული ზოგადი მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგთან/შედეგებთან მიმართებით;

23.13. კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა ეფუძნება ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომიას.

23.14. კოლეჯი უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტისათვის პორტფოლიოს სრულფასოვნად შევსებისათვის აუცილებელი აქტივობების განხორციელებას და საჭიროების შემთხვევაში სწავლის შედეგის მიღწევის განმეორებითი შეფასების ორგანიზებას ამ წესით დადგენილი ნორმებით.

23.15. პროფესიული განათლების მასწავლებელი, კომპლექსური დავალების შეფასებიდან კოლეჯის მიერ განსაზღვრულ ვადაში, პორტფოლიოში ასახავს სტუდენტის პროგრესის ამსახველ მტკიცებულებებს.

23.16. პროფესიული სტუდენტის პორტფოლიო არის პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს სტუდენტის მიღწევების ამსახველ მასალებს, ორგანიზებულს კომპლექსური დავალებებისა და სასწავლო თემების მიხედვით;

23.17. პორტფოლიოში პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში. 5 წლის გასვლის შემდეგ დაარქივებული მონაცემები ავტომატურად იშლება.

23.18. პროფესიული სტუდენტის პორტფოლიო, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

23.18.1. პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი ან პასპორტის ნომერი (არსებობის შემთხვევაში);

23.18.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;

23.18.3. ინტეგრირებული მოდულის სახელწოდება;

23.18.4. თემის დასახელება;

23.18.5. კომპლექსური დავალების შინაარსი და ნომერი;

23.18.6. პროფესიული სტუდენტის მიერ კომპლექსური დავალების შესრულების მტკიცებულება;

23.18.7. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასება და მიცემული უკუკავშირი;

23.18.8. კომპლექსური დავალების მიცემის, შესრულების და პორტფოლიოში მისი განთავსების თარიღები.

23.19. ინტეგრირებული ზოგადი მოდული დაძლეულად ჩაითვლება, თუ ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მიღწეულია.

23.20.სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული ყველა კომპლექსური დავალება შეფასებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ და მათგან მინიმუმ ერთი შეფასებულია მიმართებით ან აბსტრაქტულ დონეზე (დანართი 2).

23.21. პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წინაპირობაა თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევა.

23.22.კოლეჯში იქმნება ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისია პროგრამის განხორციელების ბოლო ეტაპზე., რომლის შემადგენლობა განისაზღვრება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და მისი საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ მუხლის შესაბამისად.

23.23.დადასტურების კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან.

23.24.კომისიის შემადგენლობაში აუცილებელია შედიოდნენ და კომისიას ხელმძღვანელობდეს მოწვეული წევრი.

23.25.კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით.

23.26.ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისიის თავჯდომარე.

23.27.კომისიის წევრებს, კომისიის მანდატიდან გამომდინარე, უნდა გააჩნდეთ აუცილებელი ცოდნა მისი ფუნქციების, ინტეგრირებული მოდულების მიზნის, სწავლების და შეფასების სპეციფიკის, ვერიფიკაციის პროცესის თაობაზე.

23.28. ვერიფიკაცია არის დადასტურების კომისიის მიერ ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის შესაბამისობის შემოწმება ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.

23.29. კოლეჯი უზრუნველყოფს კომისიის წევრთა შესაძლებლობების გაძლიერებას.

23.30. კომისიის მუშაობა აისახება კომისიის სხდომის ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავჯდომარე და მდივანი.

23.31. დადასტურების კომისიის წევრი უფლებამოსილია მისი განსხვავებული მოსაზრება წერილობით დაურთოს ოქმს.

23.32. კომისია განიხილავს პორტფოლიოში წარმოდგენილი სტუდენტების მიღწევების ამსახველ მტკიცებულებებს და მისი ვერიფიკაციის საფუძველზე ადგენს, რამდენად მოხდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

ა) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება;

ბ) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა ვერ დასტურდება.

23.33. კოლეჯი უზრუნველყოფს დადასტურების კომისიის მიერ ვერიფიკაციის პროცესის სრულფასოვანი განხორციელების ხელშეწყობა.

23.34. კოლეჯი განახორციელებს კომისიის ანალიზის უკუკავშირს ინტეგრირებული მოდულების სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად

23.35. პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დადასტურდება, თუ პორტფოლიოში წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი ყველა ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

23.36. დადასტურების კომისიის მიერ გაკეთებული არადაამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ამ წესის 21 მუხლის 21.5 პუნქტის მიხედვით გაასაჩივროს გადაწყვეტილება.

23.37.კოლეჯი დადასტურების კომისიის მუშაობის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების პროცესის თაობაზე.

მუხლი 24. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვა

24.1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი არის ინტელექტუალური და განვითარების დარღვევის ან/და სენსორული (სმენისა და მხედველობის) ან/და ქცევითი და ემოციური დარღვევის ან/და ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირი, რომლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება დასტურდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ.

24.2. კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის).

24.3. ინკლუზიური პროფესიული განათლება არის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.

24.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით;

24.5. ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები, პროგრამის ხელმძღვანელი და მოწვეული ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები – სპეციალური მასწავლებელი/ფსიქოლოგი/ოკუპაციური თერაპევტი/ენისა და მეტყველების სპეციალისტი/ჟესტური ენის თარჯიმანი/ჟესტური ენის სპეციალისტი/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი.

24.6. მოწვეული ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტთან – სპეციალური მასწავლებელი/ფსიქოლოგი/ოკუპაციური თერაპევტი/ენისა და მეტყველების სპეციალისტი/ჟესტური ენის თარჯიმანი/ჟესტური ენის სპეციალისტი/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება.

24.7. წინამდებარე მუხლის 24.5. პუნქტში მითითებული სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ საჭიროების შემთხვევაში მოხდება:

24.7.1. სასწავლო ფართის სრულად ადაპტირება;

24.7.2. სსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალის სასწავლო გეგმის შედგენა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

24.7.3. საჭიროების შემთხვევაში სსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფა.

- 24.7.4. სწავლების/შეფასების მეთოდებისა და აქტივობების რელევანტურობის განსაზღვრა გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე;
- 24.7.5. მატერიალური და სასწავლო რესურსის განსაზღვრა;
- 24.7.6. სასწავლო განრიგისა და კვირეული დატვირთვის განსაზღვრა;
- 24.8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.
- 24.9. სასწავლო გეგმის/პროგრამის განხორციელების კონტროლს ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
- 24.10. სასწავლო პროცესის/პროგრამის განხორციელების მონიტორინგს უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
- 24.11. საჭიროების შემთხვევაში შშმ და სსმ პირებისათვის გადაადგილებაში დახმარების გაწევას უზრუნველყოფს უსაფრთხოების სამსახური.
- 24.12. კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შშმ და სსმ პირების ჩარიცხვა ხდება შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში არსებული ჩარიცხვის წესის შესაბამისად.
- 24.13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე მუხლით დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 25. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

- 25.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა – შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.
- 25.2. ინდივიდუალურის სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათის გათვალისწინებით.
- 25.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული პროფესიული სტუდენტის/სტუდენტებისათვის ან მსმენელის/მსმენელებისათვის.
- 25.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მოთხოვნით პროფესიული სტუდენტი/მსმენელი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს და აწვდის ინფორმაციას, რომელიც საჭიროა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისათვის.
- 25.5. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი და წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
- 25.6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს და ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან და კოლეჯის რეგულაციებთან.
- 25.7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების/შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელს მითითებული რეკომენდაციების/შენიშვნების გასათვალისწინებლად.

25.8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი შეფასების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დასამტკიცებლად გადაეცემა კოლეჯის დირექტორს.

25.9. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მითითებული უნდა იყოს: მოდულის/მოდულების სტატუსი; მოდულის/მოდულების დასახელება; მოდულზე დაშვების წინაპირობა; კრედიტების რაოდენობა; სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა და კრედიტების გადანაწილება აღნიშნულ პერიოდზე; შეფასების ფორმები და პირობები; მოდულის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსები და სხვა.

25.10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუდმივად განვითარებადი დოკუმენტია. მასში შესატანი ცვლილებები უნდა განხორციელდეს ყველა შესაბამისი მხარესთან კონსულტაციის საფუძველზე.

25.11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორციელებას და მის მიმდინარეობას მუდმივ კონტროლს უწევს და აფასებს დაწესებულებაში შექმნილი შიდა მხარდაჭერის ჯგუფი.

მუხლი 26. მსმენელი

26.1. მსმენელი არის პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების პროგრამაზე ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე.

26.2. პროფესიული მომზადების პროგრამაზე ან პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი პროგრამით დადგენილ პირობებს.

24.3. მსმენელის მიერ სტატუსის მოპოვების პროცედურები განისაზღვრება კოლეჯის მიერ შემუშავებული „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის“ შესაბამისად.

მუხლი 27. მსმენელის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

27.1. მსმენელის შეფასება მის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამით/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. მსმენელის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

27.2. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს მსმენელის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია მსმენელის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის პროგრამის განმხორციელებლის გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

27.3. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას. ის ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

27.3.1. სწავლის შედეგი დადასტურდა;

27.3.2. სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

27.4. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულებამდე. მსმენელს ზემოაღნიშნული უფლების რეალიზების საშუალება ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კომპონენტის მიმართებაში, ეძლევა მხოლოდ ორჯერ.

27.5. მსმენელს აქვს უფლება შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება სააპელაციო

კომისია (კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი; სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი; პროგრამის ხელმძღვანელი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია მსმენელის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს მსმენელის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძველზე საოქმო დადგენილების სახით აფორმებს პასუხს მსმენელის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი მსმენელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

27.6.სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა.

27.7.მსმენელის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება მსმენელის შეფასების უწყისით.

27.8.მსმენელის სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები მსმენელისათვის სერთიფიკატისა და სერთიფიკატის დანართის გადაცემამდე ერთი წლის განმავლობაში ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, ხოლო მისი გადაცემის შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

მუხლი 28. პროგრამის განმახორციელებელი

28.1.პროგრამის განმახორციელებელი არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში.

28.2.პროგრამის განმახორციელებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.

28.3.შესაბამისი პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამით შეიძლება დადგინდეს პროგრამის განმახორციელებელისათვის დამატებითი მოთხოვნები.

28.4.პროგრამის განმახორციელებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი.

28.5.პროგრამის განმახორციელებლის ფუნქცია-მოვალეობებია:

28.5.1. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება;

28.5.2. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი სააპელაციო კომისიის წევრობა და მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში;

28.5.3. მსმენელის დეტალური ინფორმირება შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ განმსაზღვრელ შეფასებამდე;

28.5.4. პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში მსმენელის მიერ შესრულებული მტკიცებულებების შეგროვების უზრუნველყოფა, მსმენელის პორტფოლიოში მოთავსება და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისათვის გადაცემა გარკვეული თემატიკის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში,

28.5.5. კოლეჯის დირექტორის ინფორმირება იმ სსსმ/შშმ მსმენელის/მსმენელების შესახებ, რომელიც/რომლებიც შესაბამისი პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში ვერ აღწევს/აღწევენ სწავლის შედეგების დადასტურებას;

28.5.6. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ადაპტირებაში, მოდიფიცირებასა და დანერგვაში მონაწილეობა;

28.5.7. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის გარკვეული თემატიკის დაწყებამდე 7 დღით ადრე შეფასების ინსტრუმენტისა და საჭირო

შესაძენი ნედლეულისა და მასალის ჩამონათვალის წარდგენა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისათვის.

28.6. კომპეტენციის ფარგლებში კოლეჯის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხვა დავალებათა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი რეგულაციებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებათა შესრულება.

მუხლი 29. სწავლა-სწავლების მეთოდები

29.1. სწავლება-სწავლის მეთოდი არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისათვის ცოდნის გადაცემის საშუალება.

29.2. სწავლების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას სწავლა-სწავლების მეთოდებია:

29.2.1. **ახსნა-განმარტება** – გულისხმობს კონკრეტულ საკითხის განმარტებას და დეტალურ განხილვას;

29.2.2. **დისკუსია/დებატები** – გულისხმობს ინტერაქტიულ სწავლებას, მიმართულია საკუთარი აზრის მკაფიოდ, ლოგიკურად და დასაბუთებულად გადმოცემის და სხვისი მოსაზრების ოპონირების უნარის ჩამოყალიბება-განვითარებაზე;

29.2.3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - გულისხმობს პროფესიულ სტუდენტთა /მსმენელთა ჯგუფებად დაყოფას, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილებას და ჯგუფის მიერ დავალების ერთობლივად შესრულებას;

29.2.4. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - გულისხმობს საწყის ეტაპად კონკრეტული პრობლემის გამოყენებას, მიმართულია მისი შესწავლა-შეფასებაზე, გადაჭრის გზების ძიებაზე და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრასა და შეფასებაზე;

29.2.5. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - გულისხმობს სწავლების სტრატეგიას, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

29.2.6. **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

29.2.7. **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - გულისხმობს კონკრეტული შემთხვევის ყოველმხრივ განხილვას, ანალიზს, შემთხვევის ცალკეულ ასპექტებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირების დადგენას;

29.2.8. **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის

ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით. უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

29.2.9. როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

29.2.10. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია., ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლის, ისე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორცაა, მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორცაა მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარება.

29.2.11. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.

- სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

29.2.12. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესიული განათლების მასწავლებელს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

29.2.13. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის აქტიურ ჩართულობას სწავლა-ასწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

29.2.14. **ელექტრონული სწავლება (E-learning)** – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.
- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.
- მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესიული განათლების მასწავლებლის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.

29.3. მეთოდების კომბინირება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შესაძლებლობების განვითარებას - პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ეჩვევიან დამოუკიდებელ, ინდივიდუალურ და გუნდურ მუშაობას, მიზნების დასახვას და მათი მიღწევის ადეკვატური გზებისა და მეთოდების გამოყენებას, შესასრულებელი სამუშაოს ეტაპობრივ დაგეგმვას და დროის ორგანიზებას, ინფორმაციის ანალიზს, დასკვნების და მოსაზრებების ჩამოყალიბებას და არგუმენტირებულ დაცვას, საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციის თვითპრეზენტაციას და სხვა.

29.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის ყველა კომპონენტში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფენ ამ კომპონენტში დაგეგმილი შედეგების მიღწევას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა კი უზრუნველყოფს მთლიანად აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

მუხლი 30. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მეთოდოლოგია

30.1. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა.

30.2. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით.

30.3. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, პროექტორით.

30.4. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით - ინვენტარით.

30.5. დასაშვებია სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.

30.6. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A,B და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება.

30.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, ღია სივრცეში, შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა.

30.8. B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს, შესაბამისად B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს B სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ორმოცმაგი რაოდენობა.

30.9. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე მუხლის 30.7. და 30.8. პუნქტებით გათვალისწინებულ რაოდენობებს შორის უმცირესს.

30.10. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი.

30.11. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს ავტორიზაციის საბჭო ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადში მითითებული ადგილების რაოდენობის მიხედვით.

მუხლი 31. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვისა და გამოყენების მექანიზმები

31.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიულ მომზადების და პროფესიულ გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობის,

მოდულებში/თემატიკაში მითითებული მასალებისა და ნედლეულის როდენობის გათვალისწინებით სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/პროგრამის განმახორციელებელთან კონსულტაციის საფუძველზე წარუდგენს დირექტორის მოადგილეს მოთხოვნას შესაძენი მასალებისა და ნედლეულის შესახებ შესაბამისი მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 (ათი), ხოლო თემატიკის დაწყებამდე არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა.

31.2.სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალებისა და ნედლეულის შეძენას უზრუნველყოფს კოლეჯის ადმინისტრაცია.

31.3.მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა გამოყენების მომენტისათვის.

31.4.მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შენახვის შესაბამისი წესების დაცვით.

31.5.სასწავლო მიზნებისათვის მასალებისა და ნედლეულის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისათვის გადაცემას ახორციელებს ადმინისტრაცია, მიღება-ჩაბარების აქტით.

31.6.სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისთვის სასწავლო მიზნებისათვის გადაცემული მასალა და ნედლეული გამოყენებული უნდა იქნას საგანმანათლებლო მიზნებისათვის. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული მასალის სხვა მიზნებისათვის გამოყენება დასაშვებია ადმინისტრაციის წერილობითი თანხმობით, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.

31.7.მოდულის/თემატიკის დასრულების შემდეგ დგება ანგარიში გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ და გაუხარჯავი მასალები და ნედლეული ბრუნდება უკან შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 32. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი

32.1. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და უნდა ინახებოდეს ამ მუხლით დადგენილი წესით.

32.2.პროდუქტი, რომელიც არსებობს დოკუმენტაციის სახით (ტესტები, პროექტები, დაკვირვების ფორმები და სხვა) ინახება, კვალიფიკაციის მინიჭებიდან/სერთიფიკატის გაცემამდე ერთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კოლეჯის საქმისწარმოების ინსტრუქციით ან გადაეცემა ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

32.3.პროდუქტი, რომელიც წარმოდგენილია ელექტრონული სახით უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან/სერთიფიკატის გაცემიდან ერთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან გადაეცემა ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

32.4.პროდუქტი, რომელიც განთავსებულია გლობალურ ქსელში (ინტერნეტი), ელექტრონული მისამართები იწერება რეესტრში და რეესტრი ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან/სერთიფიკატის გაცემიდან ერთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც შესაძლებელია წაიშალოს.

32.5.პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მატერიალური სახის შემოქმედებით ნაშრომს (ნახატი, მაკეტი და სხვა) ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან/სერთიფიკატის გაცემიდან ერთი წლის განმავლობაში. შესაძლოა შენახვის პერიოდში გამოყენებულ იქნას საგანმანათლებლო მიზნებისათვის, რის შემდეგაც შესაძლოა მისი რეალიზაცია, გადაცემა სხვა პირისათვის საქველმოქმედო მიზნებისათვის ან ნადგურდება დადგენილი წესით ან რჩება კოლეჯის საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

32.6. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მალფუჭებად საქონელს, უნდა დაფიქსირდეს ფოტო ან ვიდეო გამოსახულების სახით, რაც ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან/სერთიფიკატის გაცემიდან ერთი წლის განმავლობაში. შესაძლოა პროდუქტის რეალიზაცია ან სხვა პირისათვის გადაცემა საქველმოქმედო მიზნებისათვის, ან ნადგურდება დადგენილი წესით ან ხდება სხვაგვარად განკარგვა კოლეჯის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით.

30.7. ამ მუხლის 32.6 პუნქტში მითითებული პროდუქტის სხვაგვარად განკარგვა გარდა განადგურებისა, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს ქვეყანაში დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენურ და უსაფრთხოების ნორმებს.

32.8. ამ მუხლის 32.7. პუნქტში მითითებული პროდუქტის კონტროლი და შესაძლო შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯის ადმინისტრაციას.

32.9. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი ავტორ(ებ)ის/შემქნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია.

მუხლი 33. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია

33.1. სასწავლო პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს.

33.2. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დირექტორის მოადგილეს

33.3. განხორციელებული უტილიზაციის პროცედურის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს კოლეჯის ადმინისტრაციისადმი წარდგენილ სამსახურეობრივ ბარათში/ანგარიშში.

მუხლი 34. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი

34.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად საჭიროა სასწავლო პროცესზე მუდმივი დაკვირვება და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა. ამისათვის კოლეჯში დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი.

34.2. შიდა მხარდაჭერის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

34.3. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ხდება სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელსაც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

34.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

34.5. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

34.6. წარდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე მუშავდება არსებული პრობლემების აღმოფხვრის გზები, სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ საქმიანობაში

ინოვაციური მიდგომების განვითარება და სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

34.7. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი მოქმედებს წინამდებარე წესის, კოლეჯის შინაგანაწესისა და სხვა შიდა სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 35. საწარმოო პრაქტიკა

35.1. საწარმოო პრაქტიკა/პრაქტიკა წარმოადგენს აუცილებელ კომპონენტს, რომელიც პროფესიულ სტუდენტს ხელს უწყობს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში და აძლევს საშუალებას, მის მიერ მიღებული თეორიული ცოდნა განავითაროს პრაქტიკულ გარემოში.

35.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება დაწესებულებაში, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნია კლინიკური სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება, რაც დასტურდება შესაბამისი მარეგულირებლის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტით.

35.3. საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკის დასაგეგმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პრაქტიკის დაწყებამდე 20 დღით ადრე ახდენს კომუნიკაციას კოლეჯის პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლებთან.

35.4. პარტნიორი დაწესებულება სასწავლო პრაქტიკის/პრაქტიკის განსახორციელებლად გამოყოფს დარგის სპეციალისტს-კომპანიის ინსტრუქტორს.

35.5. პროგრამის ხელმძღვანელი კომპანიის ინსტრუქტორს აწვდის პროფესიულ სტუდენტთა სახელობითი სიას, დეტალურად გააცნობს მოდულს, პრაქტიკის გეგმას და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესებს.

35.6. კოლეჯი კომპანიის ინსტრუქტორთან აფორმებს მომსახურების ხელშეკრულებას.

35.7. კომპანიის ინსტრუქტორი შეიძლება იყოს ამავე დროს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი.

35.8. კომპანიის ინსტრუქტორი არის პირი რომელიც პროფესიულ სტუდენტს პროფესიისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში ეხმარება.

35.9. კომპანიის ინსტრუქტორი:

35.9.1. ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზებას მოდულის შესაბამისად;

35.9.2. უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის საწარმოს/დაწესებულების/ორგანიზაციის შინაგანაწესის, არსებობის შემთხვევაში შრომის უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმების გაცნობას და ახორციელებს კონტროლს პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან მათ დაცვაზე;

35.9.3. ხელმძღვანელობს პროფესიულ სტუდენტთა ყოველდღიურ მუშაობას;

35.9.4. პროფესიულ სტუდენტებს ეხმარება მათთვის საჭირო ინფორმაციის და მასალების მოპოვებაში;

35.9.5. აძლევს პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალურ დავალებას და ხელს უწყობს მის შესრულებაში.

35.9.6. უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა პროფესიული

მოვალეობების/უნარების შეფასებას მოდულით მისაღწევი შედეგების შესაბამისად.

35.10.კომპანიის ინსტრუქტორის ძირითადი სამუშაო ადგილი თავად კომპანიაა.

35.11.საწარმოო პრაქტიკაზე/პრაქტიკაზე სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტების განაწილებისას ერთვება ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.(ინკლუზიური განათლების სპეციალისტს კოლეჯი იყვანს იმ შემთხვევაში როდესაც კოლეჯს ექნება ამის საჭიროება)

35.12.პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგი ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ.

35.13.პრაქტიკის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს მოდულის ფარგლებში მინიმუმ ერთხელ.

35.14.მონიტორინგის მტკიცებულებას წარმოადგენს ოქმი, რომელიც ხელმოწერილია პროგრამის ხელმძღვანელისა და კომპანიის ინსტრუქტორის მიერ (დანართი 3).

35.15.პროფესიულ სტუდენტზე პრაქტიკული მოდულის დაწყებისას გადაეცემა პრაქტიკის შეფასების ჟურნალი (დანართი 4).

35.16. საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკის დასრულების შემდეგ კომპანიის ინსტრუქტორი აფასებს პრაქტიკის მიმდინარეობისას პროფესიულ სტუდენტის მიერ გამოვლენილ პროფესიულ უნარებს და შედეგები შეაქვს პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის შეფასების ჟურნალში რასაც ადასტურების ხელის მოწერით.

35.17.საწარმოო პრაქტიკის შეფასება ხდება მოდულით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად.

35.18.პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

35.18.1. დაიცვას საწარმოს/დაწესებულებას/ორგანიზაციის შინაგანაწესი, არსებობის შემთხვევაში შრომის უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმები;

35.18.2.სრულად შეასრულოს პრაქტიკის პროგრამით გათვალისწინებული (მათ შორის, ინდივიდუალური) დავალება;

35.18.3. პრაქტიკის კომპონენტის სწავლის შედეგის შეფასებისას თან იქონიოს კოლეჯის მიერ გაცემული პრაქტიკის შეფასების ჟურნალი.

35.18.4.პრაქტიკული მოდულების დასრულებისას შეავსოს პრაქტიკის შეფასების ჟურნალის ბოლოს პრაქტიკის ანგარიში და ჟურნალი ჩააბაროს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

35.18.5.პრაქტიკის შეფასების ჟურნალის გაცემა და ჩაბარება ფიქსირდება პროფესიული სტუდენტის ხელმოწერით სპეციალურ პრაქტიკის აღრიცხვის ჟურნალში.

35.19.პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის ანგარიშის ჟურნალი თავსდება სტუდენტის პორტფოლიოში და ინახება შეფასების ინსტრუმენტებთან ერთად დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 36. საკვალიფიკაციო გამოცდა

36.1.პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება;

36.2.საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა;

36.3.საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული ჯგუფისათვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის წარდგინებით არაუგვიანეს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე;

36.4. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ -ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით, საკვალიფიკაციო გამოცდამდე ერთი თვით ადრე იქმნება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია(შემდგომში კომისია);

36.5. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ სამი წევრისა;

36.6. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ:

36.6.1.სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;

36.6.2.შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ან/და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მასწავლებელი;

36.6.3.პარტნიორი საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი;

36.6.4.შესაბამისი მიმართულების პროფესიული ასოციაციის ან/და დამსაქმებლის წარმომადგენელი;

36.6.5. საჭიროების შემთხვევაში, სხვა საჯარო ან კერძო დაწესებულების წარმომადგენელი.

36.7.საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი, რომელიც ვერ ცხადდება გამოცდაზე, მინიმუმ ერთი სამუშაო დღით ადრე, ატყობინებს კოლეჯის ადმინისტრაციას, რის შემდეგაც გამოიცემა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

36.8.კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიით შემადგენლობის უმრავლესობა;

36.9.კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით;

36.10.კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს;

36.11.ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;

36.12.კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი;

36.13.კომისიის მიერ წარმოდგენილი ოქმი არის კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილების საფუძველი.

36.14.ოქმის საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას შესაბამისი პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ;

36.15.მონაცემები არაუგვიანეს ხუთი დღისა აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ელექტრონულ მართვის სისტემაში.

36.16.კომისიის წევრი უფლებამოსილია საკუთარი განსხვავებული პოზიცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წერილობით დაურთოს ოქმს;

36.17.კომისიის მუშაობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს დირექტორის ინდივიდუალურ -ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი/სამსახური;

36.18.საჭიროების შემთხვევაში, გამოცდას ესწრებიან კოლეჯის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის ფოტო და/ან ვიდეო გადაღებას.

36.19. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დირექტორის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა;

36.20.პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საკვალიფიკაციო გამოცდის მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:

36.20.1.თეორიული გამოცდა;

36.20.2.პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;

36.20.3.პროექტის პრეზენტაცია;

36.20.4.სიტუაციის განხილვა და ანალიზი;

36.20.5.სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია;

36.21.საკვალიფიკაციო კომისიის ჩართულობით შექმნილი საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას პროგრამის ხელმძღვანელთან.

36.22.საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების უფლების მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული შუალედურ შეფასებაში.

36.23. საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა არ უნდა გასცდეს პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და შინაარსი უნდა წარმოადგენდეს პროგრამის ფარგლებში დადასტურებული რამდენიმე დარგობრივი უნარის დემონსტრირებას;

36.24.კომისიის მიერ პროფესიული სტუდენტის შეფასების ფორმა აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

36.24.1.დავალების აღწერას;

36.24.2.დავალების შესრულების დრო და ადგილი;

36.24.3.შეფასების კრიტერიუმები;

36.24.4. საკვალიფიკაციო გამოცდის დროს გამოსაყენებელი იმ მასალის და ინვენტარის ნუსხა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული სტუდენტისათვის;

36.24.5. აპელაციის პირობები

36.24.6.საჭიროების შემთხვევაში საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებისათვის დამატებითი ინფორმაცია

36.25.საგამოცდო საკითხები ცნობილია მხოლოდ კომისიის წევრებისათვის და აღნიშნული წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას;

36.26. საკვალიფიკაციო გამოცდა შედგება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტებისაგან;

36.27. თეორიული საგამოცდო საკითხების შემუშავება ხდება გავლილი პროფესიული მოდულებისა და სწავლის შედეგების მიხედვით და ტარდება პრაქტიკულ გამოცდამდე;

36.28. თეორიული გამოცდის თითოეული კომპონენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

36.29. თუ თეორიული გამოცდისას მიღებული ქულა ნაკლებია 75-ზე , თეორიული გამოცდა ჩაითვლება ჩაუბარებლად და პირი არ დაიშვება პრაქტიკულ გამოცდაზე;

36.30. პრაქტიკული კომპონენტის გამოცდის ჩატარება ხდება კოლეჯის C გარემოში ან მის ფარგლებს გარეთ (საწარმოში/პრაქტიკის ობიექტზე).

36.31.გამოცდის მსვლელობისას შესაფასებელი პირის თანხმობით შესაძლებელია განხორციელდეს ფოტო გადაღება ან/და აუდიო ან/და ვიდეო ჩაწერა;

36.32. კომისიის წევრები დამოუკიდებლად აფასებენ კომპონენტებს და ავსებენ წინასწარ შემუშავებულ ფორმას.

36.33.პროფესიულ სტუდენტმა უნდა მოაგროვოს განსაზღვრული დავალებების 95 პროცენტი დადებითი შეფასება.

36.34.პროფესიულ სტუდენტს გამოცდის შედეგების შესახებ ეცნობება წერილობით (ელ. ფოსტაზე) გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა.

36.35.საკვალიფიკაციო გამოცდის მტკიცებულებაა პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი წერილობითი ნაწარმი/პროექტი/ ნებისმიერი სახის მატერიალურად შექმნილი პროდუქტი/ პროცესზე დაკვირვების შეფასებისა და ზეპირი გამოკითხვის ფურცელი. მტკიცებულებები ინახება კოლეჯში 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება კოლეჯის საქმისწარმოების ერთიანი წესით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

36.36. დაუშვებელია გამოცდის გაცდენა საპატიო მიზეზის გარეშე.

36.37. პროფესიულ სტუდენტი ვალდებულია გამოცდის გაცდენის შემთხვევაში გამოცდიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში, განცხადებით მიმართოს დირექტორს და წარადგინოს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს გამოცდაზე არგამოცხადების საპატიო მიზეზს;

36.38. წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია,რომელიც ადგენს პროფესიული

სტუდენტის განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლებას, რომელიც მას ენიჭება მხოლოდ ერთხელ.

36.39. განმეორებითი საკვალიფიკაციო გამოცდის არასაპატიო მიზეზით გაცდენის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი და გადაეცემა ცნობა ან სერთიფიკატი გავლილი მოდულების შესახებ;

36.40. პროფესიული სტუდენტს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს კოლეჯის დირექტორს და გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება შედეგების გაცნობიდან მომდევნო სამი სამუშაო დღის ვადაში.

36.41. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ -ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით საჩივრის მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში იქმნება სააპელაციო კომისია;

36.42. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გამოიკვლიოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და შეისწავლოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს მხარეები (საკვალიფიკაციო კომისიის წევრი /ები, მომჩივანი).

36.43. სააპელაციო კომისია, ხმათა უმრავლესობით, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას კომისიის გადაწყვეტილების გაზიარების ან/და კომისიისთვის გადაწყვეტილების ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

36.44. კომისია განმეორებით განიხილავს სააპელაციო კომისიის მიერ მისთვის დაბრუნებულ გადაწყვეტილებას და, სათანადო დასაბუთებით, ცვლის ან უცვლელად ტოვებს მის მიერ მიღებულ თავდაპირველ გადაწყვეტილებას, რისთვისაც კომისიას განესაზღვრება სამი სამუშაო დღე.

36.45. მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე წერილობით ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეცნობება საჩივრის ავტორს;

36.46. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

36.47. განმეორებითი გამოცდისათვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ -ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით იქმნება ახალი საგამოცდო საკითხები.

მუხლი 37. საავტორო უფლებების დაცვა

37.1. კოლეჯი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს საავტორო უფლებების დაცვის საკითხებს, აფასებს და პატივს სცემს ინტელექტუალურ-შემოქმედებით საქმიანობას.

37.2. კოლეჯი იღებს ვალდებულებას საავტორო უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის პირნათლად შესრულებაზე.

37.3. კოლეჯის ოფიციალური ვებ-გვერდიდან დაუშვებელია მასალების გადმოწერა, ასლის გაკეთება. დასაშვებია მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

37.4. საჭიროების შემთხვევაში (ბეჭდვითი, სოციალური ქსელი, ინტერნეტ-საინფორმაციო საშუალებები და სხვა) კოლეჯის ოფიციალური ვებ-გვერდიდან მასალების გადმოწერა, ასლის გაკეთება დასაშვებია მხოლოდ კოლეჯთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

37.5. მასალის მითვისებამ, კომერციული მიზნით გამოყენებამ ან/და ისეთმა ქმედებამ, რომელიც არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დაცულ უფლებებს, შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ან/და საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

37.6. მეცადინეობისა და სასწავლო მიზნით შექმნილი მასალის რეპროგრაფიულ გამრავლებას (ასლის გადაღება) კოლეჯი უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 38. დამატებითი დებულებები

38.1. კოლეჯი, სასწავლო ფართის ან მისამართის ცვლილების შემთხვევაში, ვალდებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წერილობით აცნობოს შეცვლილ ფართში/მისამართზე საქმიანობის განხორციელების დაწყებამდე 30 კალენდარული დღით ადრე.

38.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წერილობით აცნოს ცვლილების განხორციელების შესახებ.

მუხლი 39. დასკვნითი დებულებები

39.1. წინამდებარე წესს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, ბრძანებით.

39.2. წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამტკიცების განხორციელება შესაძლებელია დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

დანართი 1

შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების ფორმა

შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი მხარე	შესაბამისობა	
	დიახ	არა (საჭიროებს გასწორებას)
მითითებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება		
მითითებულია პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაცია		
მითითებულია მოდულის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი		
მითითებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი		

მითითებულია პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი		
მითითებულია ჩატარების თარიღი		
მითითებულია დასადასტურებელი შედეგი		
ჩამოთვლილია შესრულების კრიტერიუმები		
მითითებულია შეფასების მიმართულება		
მითითებულია შეფასების მეთოდი		
შეფასების ინსტრუმენტში ასახულია დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დრო		
განმარტებულია შეფასების მტკიცებულების სახე და სად ინახება მტკიცებულება		
შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული დავალებები გასაგები ენით არის აღწერილი		
მოცემულია დავალების შესრულების ინსტრუქტაჟი		
აღწერილია შეფასებისთვის საჭირო გარემო და პირობები, ტექნიკური აღჭურვილობა, მასალა და ინვენტარი		
აღწერილია შეფასების პროცესის დამატებითი პირობები, მაგ: თუ როდის შეუძლიათ სახელმძღვანელოებით, ლექსიკონებით, კალკულატორებით, ინტერნეტით და სხვ. სარგებლობა.		
დადგენილია ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი, თუ რა შემთხვევაში შეფასდება შესრულებული სამუშაო დადებითად		
შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ინფორმაციას განმეორებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ		
აღწერილია აპელაციის პირობები		
შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრულ კითხვათა/დავალებათა შინაარსი ფარავს სწავლის შედეგს		
შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული კითხვათა/დავალებათა რაოდენობა საკმარისია სწავლის შედეგის დასადასტურებლად		
დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დრო საკმარისია დავალების შესასრულებლად		
შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისობაშია შეფასების მიმართულებასთან		
შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით		

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი _____

პროგრამის ხელმძღვანელი ან/და შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალიტი

თარიღი _____

დანართი 2

1: პრესტრუქტურული დონე

პროფესიულ სტუდენტს არ აქვს გააზრებული საკითხი, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია საკითხს.

2: უნისტრუქტურული დონე

პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, აშკარა/ცხადი კავშირების დამყარება.

პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა.

3: მულტისტრუქტურული დონე

პროფესიულ სტუდენტს შეუძლია რამდენიმე ასპექტის განხილვა განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ.

4: მიმართებითი დონე

პროფესიულ სტუდენტს შეუძლია გაიაზროს კავშირი რამდენიმე ასპექტს შორის, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ერგება/შეესაბამება ეს ასპექტები ერთმანეთს და ქმნის მთელს, მთლიანობას. მისი ნააზრევი სტრუქტურირებულია და ამგვარად, პროფესიულ სტუდენტს აქვს იმის უნარი, რომ შეადაროს, დააკავშიროს, გაანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზშედეგობრიობის კუთხით.

5: აბსტრაქტული დონე

პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სტრუქტურის განზოგადება და აღქმა სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვიდან, იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკული გაანალიზება ან თეორიის ჩამოყალიბება.

დანართი 3

ოქმი N

საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგის ფურცელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: _____

მოდულის დასახელება: _____

კომპანიის ინსტრუქტორის სახელი, გვარი: _____

მოდულის განხორციელების ადგილი: _____

პრაქტიკას ესწრება _____

პროფესიული სტუდენტი;

პროგრამის ხელმძღვანელის სახელი გვარი:

ხელმოწერა:

კომპანიის ინსტრუქტორის სახელი გვარი:

ხელმოწერა:

თარიღი:

დანართი 4



შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის შეფასების ჟურნალი

პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები

გვარი _____ სახელი _____

პირადი ნომერი _____

მისამართი _____

ტელეფონი/მობილური _____

ელ.ფოსტა_____

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საექთნო
განათლება

ჩარიცხვის წელი_____ ბრძანების ნომერი_____

მოდული: კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები

7 კრედიტი

მოდულის განხორციელების ადგილი_____

მოდულის განხორციელების პერიოდი_____

კლინიკის ინსტრუქტორი_____

N	სწავლის შედეგი	დადასტურდა	არ დადასტურდა	კლინიკის ინსტრუქტორის ხელმოწერა
1	ახალშობილის მოვლის ძირითადი და აუცილებელი პრინციპების განხორციელება			
2	სხვადასხვა ასაკის მოზარდებთან დაავადების მართვა			

მოდული: შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები

მოდულის განხორციელების ადგილი _____

მოდულის განხორციელების პერიოდი _____

კლინიკის ინსტრუქტორი _____

N	სწავლის შედეგი	დადასტურდა	არ დადასტურდა	კლინიკის ინსტრუქტორის ხელმოწერა
1	ახალშობილის მოვლის ძირითადი და აუცილებელი პრინციპების განხორციელება			
2	მოზარდის ასაკთან მიმართებით სხვადასხვა დაავადების მართვა			

მოდული: კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა 11 კრედიტი

მოდულის განხორციელების ადგილი _____

მოდულის განხორციელების პერიოდი _____

კლინიკის ინსტრუქტორი _____

N	სწავლის შედეგი	დადასტურდა	არ დადასტურდა	კლინიკის ინსტრუქტორის ხელმოწერა
1	კარდიოვასკულარული დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			
2	ინფექციური დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			
3	პულმონოლოგიური დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			
4	ნეფროლოგიური დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			

5	გასტროენტეროლოგიური დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			
6	ჰემატოლოგიური დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			
7	ნევროლოგიური, გრძნობათა ორგანოების დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			
8	ონკოლოგიური დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			
9	რევმატოლოგიური დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			
10	ენდოკრინოლოგიური დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			

მოდული: შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა

6 კრედიტი

მოდულის განხორციელების ადგილი _____

მოდულის განხორციელების პერიოდი _____

კლინიკის ინსტრუქტორი _____

N	სწავლის შედეგი	დადასტურდა	არ დადასტურდა	კლინიკის ინსტრუქტორის ხელმოწერა
1	კარდიოვასკულარული დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			
2	ინფექციური დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			
3	პულმონოლოგიური დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			

4	ნევროლოგიური დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			
5	გასტროენტეროლოგიური დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			
6	ჰემატოლოგიური დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			
7	ნევროლოგიური, გრძნობათა ორგანოების დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			
8	ონკოლოგიური დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			
9	რევმატოლოგიური დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			
10	ენდოკრინოლოგიური დაავადებების სპეციფიკის მეთვალყურეობა			

მოდული: კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა 10 კრედიტი

მოდულის განხორციელების ადგილი _____

მოდულის განხორციელების პერიოდი _____

კლინიკის ინსტრუქტორი _____

N	სწავლის შედეგი	დადასტურდა	არ დადასტურდა	კლინიკის ინსტრუქტორის ხელმოწერა
1	პრეჰოსპიტალურ დონეზე შემთხვევის ადგილის რისკებისა და უსაფრთხო მოქმედების არეალის იდენტიფიცირება			
2	პრეჰოსპიტალურ დონეზე (ტრავმა) პირველადი გადაუდებელი დახმარება			

3	პრეჰოსპიტალურ დონეზე (გარდა ტრავმებისა) პირველადი დახმარება			
4	ჰოსპიტალურ დონეზე (ტრავმა) პირველადი გადაუდებელი დახმარება			
5	ჰოსპიტალურ დონეზე (გარდა ტრავმებისა) პირველადი დახმარების მართვა			
6	ჰოსპიტალურ დონეზე ტრიაჟის კატეგორიის მინიჭება			
7	საველე, პრეჰოსპიტალურ დონეზე, ტრიაჟის ჩამოყალიბება			

მოდული: შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა

5 კრედიტი

მოდულის განხორციელების ადგილი _____

მოდულის განხორციელების პერიოდი _____

კლინიკის ინსტრუქტორი _____

N	სწავლის შედეგი	დადასტურდა	არ დადასტურდა	კლინიკის ინსტრუქტორის ხელმოწერა
1	პრეჰოსპიტალურ დონეზე შემთხვევის ადგილის რისკებისა და უსაფრთხო მოქმედების არეალის განსაზღვრა-იდენტიფიცირება			

2	პრეჰოსპიტალურ დონეზე (ტრავმა) პირველადი გადაუდებელი დახმარების მართვა			
3	პრეჰოსპიტალურ დონეზე (გარდა ტრავმებისა) პირველადი დახმარების მართვა			
4	ჰოსპიტალურ დონეზე (ტრავმა) პირველადი გადაუდებელი დახმარების მართვა			
5	ჰოსპიტალურ დონეზე (გარდა ტრავმებისა) პირველადი დახმარების მართვა			
6	ჰოსპიტალურ დონეზე ტრიაჟის კატეგორიის მინიჭება			
7	საველე, პრეჰოსპიტალურ დონეზე, ტრიაჟის ჩამოყალიბება			

მოდული: კინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა 12 კრედიტი

მოდულის განხორციელების ადგილი _____

მოდულის განხორციელების პერიოდი _____

კლინიკის ინსტრუქტორი _____

N	სწავლის შედეგი	დადასტურდა	არ დადასტურდა	კლინიკის ინსტრუქტორის ხელმოწერა
1	კრიტიკულად დაავადებული პაციენტების ჰემოდინამიკური მონიტორინგი			
2	კარდიოვასკულარული დაავადებების მქონე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის მართვა			

3	პულმონარული დაავადების მქონე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების მართვა			
4	ნევროლოგიური ჩივილების მქონე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების მართვა			
5	გასტროინტესტირალური დაავადებების მქონე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების მართვა			
6	შარდგამომყოფი დაავადებების მქონე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების მართვა			
7	საფარის სისტემის პათოლოგიის მქონე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების მართვა			
8	პაციენტის რეანიმაციაში მოხვედრის და გაწერის დროს გასატარებელი საექთნო ქმედებები			
9	ასისტირება ანესთეზიისას			

მოდული: შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა 4 კრედიტი

მოდულის განხორციელების ადგილი _____

მოდულის განხორციელების პერიოდი _____

კლინიკის ინსტრუქტორი _____

N	სწავლის შედეგი	დადასტურდა	არ დადასტურდა	კლინიკის ინსტრუქტორის ხელმოწერა
1	კრიტიკულად დაავადებული პაციენტების ჰემოდინამიკური მონიტორინგი			
2	კარდიოვასკულარული დაავადების მქონე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის მართვა			

3	პულმონარული დაავადების მქონე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის მართვა			
4	ნევროლოგიური ჩივილების მქონე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის მართვა			
5	გასტროინტესტირალური დაავადების კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის მართვა			
6	შარდგამყოფი დაავადებების მქონე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის მართვა			
7	საფარის სისტემის მქონე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის მართვა			
8	პაციენტის რენიმაჯიაში მოხვედრის და გაწერის დროს გასატარებელი საექთნო ქმედებების შესრულება			
9	მეთვალყურეობის ქვეშ ანესთეზიის ასისტირება			

მოდული: კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა

6 კრედიტი

მოდულის განხორციელების ადგილი _____

მოდულის განხორციელების პერიოდი _____

კლინიკის ინსტრუქტორი _____

N	სწავლის შედეგი	დადასტურდა	არ დადასტურდა	კლინიკის ინსტრუქტორის ხელმოწერა
1	ანტენატალური პერიოდის შეფასება და მართვა			
2	სამშობიარო ბლოკში მოქმედება			

3	საექთნო ჩარევის ჩატარება პოსტნატალური პერიოდის განყოფილებაში			
4	ახალშობილის საექთნო მოვლა			

**მოდული: შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის
საექთნო მართვა**

3 კრედიტი

მოდულის განხორციელების ადგილი _____

მოდულის განხორციელების პერიოდი _____

კლინიკის ინსტრუქტორი _____

N	სწავლის შედეგი	დადასტურდა	არ დადასტურდა	კლინიკის ინსტრუქტორის ხელმოწერა
1	ანტენატალური პერიოდის შეფასება და მართვა			
2	სამშობიარო ბლოკში მოქმედება			
3	საექთნო ჩარევა პოსტნატალური პერიოდის განყოფილებაში			
4	ახალშობილის საექთნო მოვლა			

მოდული: კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა

11 კრედიტი

მოდულის განხორციელების ადგილი _____

მოდულის განხორციელების პერიოდი _____

კლინიკის ინსტრუქტორი _____

N	სწავლის შედეგი	დადასტურდა	არ დადასტურდა	კლინიკის ინსტრუქტორის ხელმოწერა
1	კარდიოვასკულარული და პულმონოლოგიური			

	დაავადებების მქონე პაციენტებთან ქირურგიული სპეციფიკის მეთვალყურეობა			
2	ნეფროლოგიური, გასტროენტეროლოგიური და რეპროდუქციული დაავადებების მქონე პაციენტებთან ქირურგიული სპეციფიკის მეთვალყურეობა			
3	ონკოლოგიური და ენდოკრინოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებთან ქირურგიული სპეციფიკის მეთვალყურეობა			
4	საოპერაციოში ასისტირებასთან დაკავშირებული ქმედებების შესრულება			

მოდული: შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა

6 კრედიტი

მოდულის განხორციელების ადგილი _____

მოდულის განხორციელების პერიოდი _____

კლინიკის ინსტრუქტორი _____

N	სწავლის შედეგი	დადასტურდა	არ დადასტურდა	კლინიკის ინსტრუქტორის ხელმოწერა
---	----------------	------------	---------------	---------------------------------

1	კარდიოვასკულარული და პულმონოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებთან ქირურგიული სპეციფიკის დამოუკიდებლად მეთვალყურეობა			
2	ნეფროლოგიური, გასტროენტეროლოგიური და რეპროდუქციული დაავადებების მქონე პაციენტებთან ქირურგიული სპეციფიკის დამოუკიდებლად მეთვალყურეობა			
3	ონკოლოგიური და ენდოკრინოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებთან ქირურგიული სპეციფიკის დამოუკიდებლად მეთვალყურეობა			
4	საოპერაციოში ასისტირებასთან დაკავშირებული ქმედებების დამოუკიდებლად შესრულება			

მოდული: კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია

3 კრედიტი

მოდულის განხორციელების ადგილი _____

მოდულის განხორციელების პერიოდი _____

კლინიკის ინსტრუქტორი _____

N	სწავლის შედეგი	დადასტურდა	არ დადასტურდა	კლინიკის ინსტრუქტორის ხელმოწერა
---	----------------	------------	---------------	---------------------------------

1	ფსიქიატრიული პაციენტის შეფასება			
2	თერაპიული მოვლის მეთოდების გამოყენება			
3	შიზოფრენიით დაავადებული პაციენტის მართვა			
4	ნევროზული და სტრესთან დაკავშირებული დაავადებების იდენტიფიცირება-საექთნო მართვა			
5	ადიქტოლოგიური და სექსუალურ-კვებითი დარღვევების დაავადებების მქონე პაციენტის საექთნო მართვა			

მოდული: შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია

3 კრედიტი

მოდულის განხორციელების ადგილი _____

მოდულის განხორციელების პერიოდი _____

კლინიკის ინსტრუქტორი _____

N	სწავლის შედეგი	დადასტურდა	არ დადასტურდა	კლინიკის ინსტრუქტორის ხელმოწერა
1	ფსიქიატრიული პაციენტის შეფასება			
2	მკურნალობისა და თერაპიული მოვლის მეთოდების გამოყენება			
3	შიზოფრენიით დაავადებული პაციენტის მართვა			
4	ნევროზული და სტრესთან დაკავშირებული დაავადებების იდენტიფიცირება და საექთნო მართვა			
5	ადიქტოლოგიური, სექსუალური და კვებითი დარღვევების დაავადებების მქონე პაციენტის საექთნო მართვა			

პ რ ა ქ ტ ი კ ი ს ა ნ გ ა რ ი შ ი

ანგარიშის შესავალი: (პრაქტიკის სახე, განხორციელების პერიოდი და ადგილი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მისი როლი და მიზანი)

პრაქტიკების დაწყებისას პროფესიულ სტუდენტზე გაიცემა ერთი ცალი პრაქტიკის შეფასების ჟურნალი და პრაქტიკების დამთავრებისას პროფესიული სტუდენტი შევსებულ, მის მიერ ხელმოწერილს დააბრუნებს კოლეჯში.

პრაქტიკის შეფასების ჟურნალი პროფესიულ სტუდენტს მიაქვს ყველა პრაქტიკის ობიექტზე, სადაც ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლება. სწავლის შედეგის დადასტურებისას კომპანიის ინსტრუქტორი პრაქტიკის შეფასების ჟურნალში აღნიშნავს შეფასების შედეგს (დადასტურდა/არ დადასტურდა), რასაც ადასტურებს შედეგის გასწვრივ ხელის მოწერით.

იმისათვის რომ პროფესიულ სტუდენტს დაუდასტურდეს მოდული საჭიროა დადასტურებული იყოს მოდულის ფარგლებში ყველა სწავლის შედეგი.

იმ შემთხვევაში თუ პროფესიული სტუდენტი ვერ დაადასტურებს კლინიკურ პრაქტიკას ის არ დაიშვება იმავე მიმართულების შემაჯამებელ კლინიკურ პრაქტიკაზე.

პრაქტიკის ყველა კომპონენტის დადასტურების შემდეგ პროფესიული სტუდენტი წერს პრაქტიკის ანგარიშს და პრაქტიკის შეფასების ჟურნალს აბარებს შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის ანგარიშის ჟურნალი თავსდება პორტფოლიოში და ინახება შეფასების ინსტრუმენტებთან ერთად დადგენილი წესის შესაბამისად.